



საარჩევნო სისტემების  
განვითარების, რეფორმებისა და  
**სწავლების ცენტრი**



**ცესკო**  
საპარლამენტო საარჩევნო  
ადმინისტრაცია

## „ამომრჩეველთა ინფორმირება 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის“

პროექტის განხორციელების პერიოდი: 25 სექტემბერი - 25 ოქტომბერი, 2020 წ

# პროექტის მიზანი

წახალისოს ასპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები სომხურენოვანი ამომრჩევლის ფართო და გააზრებული ჩართულობა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში.

## პროექტის განხორციელების არეალი

- ▶ თბილისი, ასპინძა, ახალქალაქი და ნინოწმინდა

# სამიზნე ჯგუფი

ასპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი ან/და სომხურენოვანი ამომრჩეველი ამომრჩეველი

სულ: 59046 - აღწერილი ეყრდნობა ნინოწმინდის, ახალქალაქის მუნიციპალიტეტებისა და ასპინძის სომხურ სოფლებში მცხოვრებ ამომრჩელთა რაოდენობას.

პროექტის ფარგლებში  
განხორციელებული ღონისძიებები

# I. საარჩევნო თემატიკაზე საინფორმაციო - შემეცნებითი ხასიათის სატელევიზიო კლიპების მომზადება

*პროექტის აღნიშნული კომპონენტი ითვალისწინებდა საარჩევნო თემატიკაზე საინფორმაციო - შემეცნებითი ხასიათის 15 სატელევიზიო კლიპების მომზადებას. კლიპებში მონაწილეობის მიღების მიზნით მოწვეულ იქნენ საქართველოში, მათ შორის პროექტის მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში სომხური თემის თვალსაჩინო და წარმატებული წარმომადგენლები.*

# I. საარჩევნო თემატიკაზე საინფორმაციო - შემეცნებითი ხასიათის სატელევიზიო კლიპების მომზადება

საინფორმაციო - შემეცნებითი ხასიათის სატელევიზიო კლიპები ჩაიწერა სომხურ ენაზე და დაედო ქართული ტიტრები. სატელევიზიო კლიპის ფორმატი იმგვარად იქნა შემუშავებული, რომ ზემოაღნიშნული მოწვეული სტუმრების მიერ გაჟღერებული გზავნილების მეშვეობით შესაძლებელი გამხდარიყო სატელევიზიო აუდიტორიისათვის შემდეგი ხასიათის ინფორმაციის/ცოდნის გადაცემა: 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები; კოვიდ - 19 პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარების წესი და საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის უსაფრთხო პროცედურები; საარჩევნო უფლებები და მათი რეალიზების პროცედურები (მათ შორის ხმის მიცემის ფარულობის პრინციპი); საპარლამენტო არჩევნების არსი;

# I. საარჩევნო თემატიკაზე საინფორმაციო - შემეცნებითი ხასიათის სატელევიზიო კლიპების მომზადება

როგორ დაიძლიოს იმედგაცრუება და ნიჰილიზმი გამოწვეული საარჩევნო პროცესში ამომრჩეველთა გაუაზრებელი და არაინფორმირებული ჩართულობით; შესაძლო ინსტრუმენტები, ფორმები და მიდგომები, თუ როგორ დაიძლიოს ეთნიკურად სომეხ ამომრჩევლებში არსებული უნდობლობა ელექტორალური და პოლიტიკური პროცესების მიმართ და გაჩნდეს რწმენა, რომ მათ აქტიურ ჩართულობას საარჩევნო პროცესში პოზიტიური შედეგი მოჰყვება ადგილობრივი განვითარების თვალსაზრისით; გააზრებული ჩართულობა ელექტორალურ პროცესში, როგორც სოციალური სამართლიანობის რეალიზების უპირობო გარანტია; საარჩევნო პროცესში მოწყვლადი ჯგუფების, განსხვავებული შეხედულებებისა და აზრის მქონე პირთა ჩართულობის აუცილებლობა და მათთვის თანაბარი შესაძლებლობების მქონე გარემოს ფორმირება, როგორც შესაძლო კონფლიქტის წარმოქმნის ერთ-ერთი მძლავრი პრევენციული ფაქტორი; რატომ არის საჭირო, რომ საზოგადოებამ თავად განსაზღვროს საკუთარი მომავალი დემოკრატიული ინსტიტუტების, საარჩევნო ყუთების საშუალებით და ღია, სამართლიანი, გამჭვირვალე და კონკურენტული პოლიტიკური სისტემის მეშვეობით;

## II. საარჩევნო თემატიკაზე საინფორმაციო - შემეცნებითი ხასიათის სატელევიზიო კლიპების დემონსტრირება

აღნიშნულის ფარგლებში მოხდა მომზადებული 15 საინფორმაციო-შემეცნებით ხასიათის სატელევიზიო კლიპების დემონსტრირება - ახალქალაქის მუნიციპალიტეტსა და ასპინძის სომხურ სოფლებში კლიპების ტრანსლირებას უზრუნველყოფდა ადგილობრივი სატელევიზიო კომპანია „ATV 12“, ხოლო ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში კლიპების ტრანსლირებას უზრუნველყოფდა სატელევიზიო კომპანია „ფარვანა“.



## II. საარჩევნო თემატიკაზე საინფორმაციო - შემეცნებითი ხასიათის სატელევიზიო კლიპების დემონსტრირება

*გავრცელებული ვიდეორგოლები შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულებზე:*

<https://drive.google.com/file/d/1OE0GPGXIMvxLAT3ls-spcglSd0Z8ZMd3/view?usp=sharing>

[https://drive.google.com/file/d/1SQcVQGR3\\_lj3FzjiI95w1iEdnHHrbivw/view?usp=sharing](https://drive.google.com/file/d/1SQcVQGR3_lj3FzjiI95w1iEdnHHrbivw/view?usp=sharing)

<https://drive.google.com/file/d/1FP1PFKlbcCGD-IhSffEDOTfw2xpn0-J/view?usp=sharing>

[https://drive.google.com/file/d/1\\_uncJnP6gwReafb3BG2NnG8Gp64yq8Xp/view?usp=sharing](https://drive.google.com/file/d/1_uncJnP6gwReafb3BG2NnG8Gp64yq8Xp/view?usp=sharing)

[https://drive.google.com/file/d/1VBq9\\_rN6MVYRr3yCyNSM0TS2iH9eHzYe/view?usp=sharing](https://drive.google.com/file/d/1VBq9_rN6MVYRr3yCyNSM0TS2iH9eHzYe/view?usp=sharing)

<https://drive.google.com/file/d/1leJvxH5uguv0lVbFZV7KZqbrwwJldUly/view?usp=sharing>

<https://drive.google.com/file/d/12pw9QQqks0vWnQFYyWW3NkTQV3Ak4i9F/view?usp=sharing>

<https://drive.google.com/file/d/12wJHV82u1KiIjjWQzGI2qMb0VLczgbY7/view?usp=sharing>

[https://drive.google.com/file/d/1P7rT3lDt9FQBuD5re\\_AcmaM-IvW-cHBC/view?usp=sharing](https://drive.google.com/file/d/1P7rT3lDt9FQBuD5re_AcmaM-IvW-cHBC/view?usp=sharing)

<https://drive.google.com/file/d/1IwzcoITjpdEQqBYF5CrooRxXSvmMJEZg/view?usp=sharing>

[https://drive.google.com/file/d/1K3q2T9q6uz2ZU6Llr1Cgy5XTd1ORi\\_xv/view?usp=sharing](https://drive.google.com/file/d/1K3q2T9q6uz2ZU6Llr1Cgy5XTd1ORi_xv/view?usp=sharing)

<https://drive.google.com/file/d/1kBfegEY6WmbCNo1mFMD5HwgAEFgpBNSo/view?usp=sharing>

<https://drive.google.com/file/d/1mRBGSjbraOTxZUKs1MAiF-VtWLRfPzIV/view?usp=sharing>

[https://drive.google.com/file/d/1sE5BtQuZGrMQeYQner\\_O6V9hX1tk\\_45v/view?usp=sharing](https://drive.google.com/file/d/1sE5BtQuZGrMQeYQner_O6V9hX1tk_45v/view?usp=sharing)

<https://drive.google.com/file/d/1jqaDrVRE1nPI7IshctGO5Q5dxPq03Ecl/view?usp=sharing>

# პროექტის ეფექტი (მიღწეული შედეგები)

▶ პროექტის ფარგლებში საარჩევნო თემატიკაზე მომზადდა საინფორმაციო – შემეცნებითი ხასიათის 15 სატელევიზიო კლიპი, რომელთა ტრანსლირებაც შესაძლებელი გახდა ასპინძის სომხურენოვანი სოფლებში, ისევე როგორც ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი სატელევიზიო კომპანიების მიერ. ახალქალაქისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებში კლიპების ტრანსლირებას უზრუნველყოფდა ადგილობრივი სატელევიზიო კომპანია „ATV-12“, ხოლო ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში კლიპების ტრანსლირება მოახდინა ადგილობრივი სატელევიზიო კომპანია „ფარვანამ“.

▶ პროექტი რეალიზებული იქნა, რათა ხელი შეეწყოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის ასპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი ამომრჩევლების ფართო რაოდენობრივი და ინფორმირებული ჩართულობა, აღნიშნული მაჩვენებლის გაზომვა ირიბად შეგვიძლია 2016 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მოსახლეობის აქტივობის შედარებისას, რაც გვაჩვენებს საშუალოდ 8% ით მოსახლეობის აქტივობის ზრდას, ისევე როგორც მეტ საარჩევნო სუბიექტზე ხმათა გადანაწილების დინამიკას, იმდენად რამდენადაც ამაღლდა მოსახლეობის პოლიტიკური და ელექტორალური ჩართულობის კულტურა შესაბამისი ინფორმაციისა და ცოდნის შეძენის კვალობაზე.

# პროექტის განხორციელებისას მიღებული დახმარებები:

- ▶ პროექტის განხორციელებისას, საპროექტო გუნდი, საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციისთვის მიმართავდა სწავლების ცენტრის თანამშრომლებს, რომლებიც ყურადღებითა და გაგებით ეკიდებოდნენ პროექტის მსვლელობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. ამგვარი მიდგომა ხელს უწყობდა პროექტის დროულ და ეფექტიან რეალიზებას. ორგანიზაცია მადლობას უხდის სწავლების ცენტრს ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის.



მადლობა ყურადღებისთვის !